

**კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის
30 ივნისის შემდეგ**

ფასს 16-ის შესწორებები

ფასს 16-ის - „იჯარა“ - შესწორებები

შეიცვალა 46ბ პუნქტი. დაემატა გ1გ და გ20ბა პუნქტები. ახალი ტექსტი გახაზულია ქვემოდან, ხოლო გაუქმებული ტექსტი – გადახაზულია.

იჯარა

...

შეფასება

...

შემდგომი შეფასება

...

იჯარის მოდიფიკაცია

...

46ბ 46ა პუნქტში მითითებული გამარტივებული მიდგომა გამოიყენება მხოლოდ საიჯარო ქირის იმგვარ დათმობასთან მიმართებით, რომლებიც წარმოიშობა კოვიდ-19-ის პანდემიის პირდაპირი შედეგის სახით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებული იქნება ყველა შემდეგი პირობა:

- (ა) საიჯარო გადახდების ცვლილება იწვევს იჯარის ანაზღაურების ოდენობის ცვლილებას/გადახედვას, მაგრამ იჯარის ანაზღაურების შესწორებული ოდენობა ძირითადად იგივეა ან ნაკლებია იჯარის ანაზღაურების იმ ოდენობაზე, როგორც იყო უშუალოდ საიჯარო გადახდების ცვლილების წარმოშობამდე;
- (ბ) საიჯარო გადახდების შემცირება ეხება მხოლოდ ისეთ გადახდებს, რომლებიც თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად გადახდას ექვემდებარებოდა არაუგვიანეს ~~2021~~ 2022 წლის 30 ივნისისა (მაგალითად, საიჯარო ქირის დათმობა დააკმაყოფილებს ამ პირობას, თუ დათმობის შედეგად შემცირდება ~~2021~~ 2022 წლის 30 ივნისისთვის ან 30 ივნისამდე განსახორციელებელი საიჯარო გადახდები, ხოლო ~~2021~~ 2022 წლის 30 ივნისის შემდგომი პერიოდის საიჯარო გადახდები – გაიზრდება); და
- (გ) იჯარის ვადებსა და პირობებში არ შესულა სხვა არსებითი ცვლილებები.

...

დანართი გ

ძალაში შესვლის თარიღი და გარდამავალი დებულებები

ძალაში შესვლის თარიღი

- ...
- გ1გ 2021 წლის მარტში გამოცემულმა დოკუმენტმა „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ“ - გამოიწვია 46ბ პუნქტის შეცვლა და გ20ბა-გ20ბგ პუნქტების დამატება. მოიჯარემ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2021 წლის 1 აპრილს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებულ წლიურ საანგარიშგებო პერიოდებში. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, მათ შორის იმ ფინანსური ანგარიშგებებისთვის, რომლებიც გამოსაცემად დამტკიცებული არ იყო 2021 წლის 31 მარტისთვის.

გადასვლა

- ...
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა მოიჯარეებისთვის**
- ...
- გ20ბა მოიჯარემ რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს დოკუმენტი - „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ“ (იხ. გ1გ პუნქტი) ისე, რომ ამ შესწორების თავდაპირველი გამოყენებით გამოწვეული კუმულაციური ეფექტი აღიაროს, როგორც გაუნაწილებელი მოგების (ან საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტის, საჭიროებისამებრ) საწყისი ნაშთის კორექტირება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში, რომელშიც მოიჯარე პირველად გამოიყენებს მოცემულ შესწორებას.
- გ20ბბ მოიჯარეს არ ევალება ბასს 8-ის 28(ვ) პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გამჟღავნება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც პირველად იყენებს დოკუმენტს – „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ“.
- გ20ბგ წინამდებარე სტანდარტის მე-2 პუნქტის გამოყენებისას მოიჯარემ 46ა პუნქტში აღწერილი გამარტივებული მიდგომა თანამიმდევრულად უნდა გამოიყენოს მსგავსი მახასიათებლების მქონე შესაფერის ხელშეკრულებებთან მიმართებაში და მსგავს გარემოებებში. იმის მიუხედავად, ეს ხელშეკრულება დააკმაყოფილებს თუ არა ზემოაღნიშნული გამარტივებული მიდგომის გამოყენებისთვის დადგენილ პირობებს მას შემდეგ, რაც მოიჯარე გამოიყენებს დოკუმენტს „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“ (იხ. გ1ა პუნქტი) ან დოკუმენტს „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ“ (იხ. გ1გ პუნქტი).